დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ახ.წ. I-IV საუკუნეების ძვირფასი ლითონის სამკაული

სოფიო გაბრიელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო გაბრიელიძე

24.06.2021.

მადლობა

მადლობა, ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ, დიმიტრი ახვლედიანს გაწეული დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე I-IV საუკუნეების ძვირფასი ლითონის ოცამდე სახეობის ნაკეთობა. დაჯგუფებული და გაანალიზებულია თითოეული ტიპი, მოცემულია მათი დეტალური ტექნიკური და მხატვრულ-სტილისტური აღწერა, გათვალისწინებულია არქეოლოგიური კონტექსტი. თემის სიახლეს განაპირობებს არტეფაქტების კლასიფიკაციის იმ მეთოდიკის გამოყენება რომელიც აპრობირებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში და ეფუძნება კონკრეტული მახასიათებლების ანალიზს. ეს ნიშნებია სამკაულის ფუნქცია, ფორმა, მასალა, დამზადების ტექნიკა, სტილი, თარიღი და კულტურული კუთვნილება. აღნიშნული კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოდან მომდინარე ძვირფასი ლითონის სამკაული არ გამხდარა კომპლექსური კვლევის ობიექტი.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-IV სს-ის ოქრომჭედლობის ნიმუშები შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს: 1. ახ.წ. I-II სს-ში შენარჩუნებულია ძველი კოლხური ოქრომჭედლობის (ძვ.წ. V-III სს.) ტრადიციები, როგორც ტექნიკური, ასევე თემატური თვალსაზრისით; 2. ახ.წ. III-IV სს. ხასიათდება უფრო მეტად ინოვაციებით, რაც ძირითადად რომაული ოქრომჭედლობის გავლენაში გამოიხატა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საყურე, ოქრო, ინკრუსტაცია, რომაული ხანა.

abstract

The master's thesis reviews precious metal products of I-IV cc. A.D. from the territory of Western Georgia. Each type is grouped and analyzed, their detailed technical and artistic-stylistic description is given; the archeological context is taken into account. The novelty of the topic is determined by the use of the methodology of classification of artifacts, which is tested in the modern scientific literature and is based on the analysis of specific characteristics. These marks are the function, the form, the material, the technique of making, the style, the date, and the cultural affiliation of the jewelry. The urgency of this research is due to the fact that precious metal jewelry from Western Georgia has not become the object of complex research.

As a result of the research, we can mention that the samples of goldsmithing of the I-IV centuries A.D can be divided into two chronological phases: 1. I-II cc. A.D. which preserves the technique and thematic traditions of ancient Colchian goldsmithing (V-III centuries BC); 2. III-IV cc. A.D. characterized with innovations influenced by Roman goldsmithing.

Key Words: Earring, Gold, Encrusted, Roman Period.